„გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზნით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი

კომენტარის წარმომდგენი სუბიექტი	კომენტარი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე
შპს „პისი მაქსი“ შპს „პისი მაქსის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის შ-26-6/5439; თარიღი: 29.05.2026)	**1. მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნობრივი მაჩვენებლები** დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე პრაქტიკაში შეუძლებელია ქსელის ხელმისაწვდომობის ფიქსირებული და გარანტირებული მაჩვენებლების განსაზღვრა იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის მასშტაბით მუდმივად მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოები ქაოტური და არაკოორდინირებული ფორმით. ავტორიზებული პირები ყოველდღიურად დგანან იმ რეალობის წინაშე, როდესაც ხდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების მრავალჯერადი დაზიანება, რის შედეგადაც ათეულობით და ზოგ შემთხვევაში ასეულობით კილომეტრი კაბელი საჭიროებს გადატანას, რეაბილიტაციას ან ხელახლა მოწყობას. დღეს საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სათანადო გათვალისწინების, კომუნიკაციისა და კოორდინაციის გარეშე. დღევანდელი მდგომარეობით, არ არსებობს ეფექტიანი კოორდინაცია შესაბამის საჯარო უწყებებსა და ინფრასტრუქტურულ ორგანიზაციებს შორის, მათ შორის, არ არის კოორდინაცია ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, გზების დეპარტამენტთან, ენერგო	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში შესატანი ცვლილების პროექტი ითვალისწინებდა, ამავე გადაწყვეტილებით გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე განსაზღვრულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაშვების წინადადებაში (შემდგომში „მოწვევის ოფერტა“) გამჭვირვალედ აესახათ მომსახურების ფარგლებში შეთავაზებული მომსახურების მიზნობრივი ხარისხობრივი პარამეტრები, რაც გათვალისწინებულია რეგულირებულ ტარიფში. მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნობრივი მაჩვენებელი წარმოადგენს მომსახურების ხარისხობრივ მნიშვნელოვან პარამეტრს და ამაზე სხვა ქვეყნების გამოკვლეული პრაქტიკული მაგალითებიც მიუთითებს. კომპანიის მიერ დასმული საკითხი, რაც ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტების ინტენსივობას შეეხება და რასაც თან ახლავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევები, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს ოპერატორების კონტროლს მიღმა არსებულ ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მომსახურების ხელმისაწვდომობის განსაზღვრული მაჩვენებლების დაცვით მიწოდებაზე.

	პრო ჯორჯიასთან, გაზგამანაწილებელ კომპანიებთან, მუნიციპალურ თუ სხვა შესაბამის ორგანოებთან. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იწვევს უკვე არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას ან სრულ განადგურებას, რისი რეაბილიტაციაც, როგორც იცით, დაკავშირებულია უკიდურესად მაღალ ხარჯებთან. დაზიანებისგან კომპანიებს რეალურად არ იცავს არც არსებული ნებართვები, არც ქონებრივი უფლებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და არც სტანდარტების დაცვით მოწყობილი ინფრასტრუქტურა. საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მფლობელი მაშინაც არ არის დაცული, როდესაც სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელ სუბიექტს წარუდგენს დეტალურ და ზუსტ რუკას, თუ სად მდებარეობს მისი ქსელის კაბელები და უწევს დეტალურ რეკომენდაციას, თუ რომელ არეალებში არ უნდა განხორციელდეს ან/და რა ფორმით (ვისი თანდასწრებით) უნდა განხორციელდეს გათხრითი სამუშაოები. მაგალითის სახით შეიძლება დასახელდეს რიკოთის ავტობანის მშენებლობა, გომი-საჩხერე-ჭიათურის გზის რეაბილიტაცია, ისევე როგორც გომბორის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც წლების განმავლობაში მიმდინარე სამშენებლო პროცესების ფარგლებში მრავალჯერ მოხდა PC Max-ის საკუთრებაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის გადატანა, დაზიანება და ხელახალი მოწყობა. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, რომ თავად ავტორიზებული პირები საკუთარი ქსელის მონტაჟის დროს აზიანებენ სხვების ინფრასტრუქტურას. ამ პირობებში კომპანიები ფაქტობრივად მუდმივ ფორს-მაჟორულ და კრიზისულ ოპერაციულ რეჟიმში	მივიჩნევთ, რომ ავტორიზებული პირის მიერ დასმული საკითხი აქტუალურია და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მათი დაზიანების შემთხვევები, რის გამოც კომისია გამოთქვამს მზადყოფნას, უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს შესაბამის უწყებებსა და ბაზრის მონაწილეებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების პროექტიდან ამოღებულ იქნა საკითხი მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნობრივი მაჩვენებლის ოფერტაში გამოქვეყნების შესახებ. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ კომისიაში მიმდინარე სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის ფარგლებში იგეგმება გამოყოფილი არხების ბაზრის კვლევა, შესაბამისად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრისას მოხდება ხარისხობრივი პარამეტრების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა.

	ფუნქციონირებენ, რაც დაკავშირებულია უკიდურესად მაღალ და არაპროგნოზირებად საოპერაციო ხარჯებთან. შესაბამისად, სანამ სახელმწიფოს მხრიდან არ შეიქმნება ეფექტიანი კოორდინაციისა და ინფრასტრუქტურის დაცვის მექანიზმები, პრაქტიკულად შეუძლებელია მომსახურების ხელმისაწვდომობის გარანტირებული მაჩვენებლების დადგენა.	
	2. მომსახურების შესაბამისი მახასიათებლები (ჯიტერი, დაყოვნება, დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი, სიგნალის მილევის კოეფიციენტი) ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, აღნიშნული ხარისხობრივი პარამეტრების სტაბილური და გარანტირებული მაჩვენებლებით ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრაც პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან ინფრასტრუქტურის მუდმივი დაზიანება, გადატანა და საგანგებო რეჟიმში ოპერირება პირდაპირ გავლენას ახდენს ქსელის ტექნიკურ სტაბილურობაზე.	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მრავალჯერ შეკეთებამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად იმოქმედოს სიგნალის მილევის კოეფიციენტზე და მისი განსაზღვრა ან შენარჩუნება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სირთულეებთან. შესაბამისად, კომპანიის მიერ დასმული პრობლემური საკითხის გათვალისწინებით სიგნალის მილევის კოეფიციენტის განსაზღვრის მოთხოვნა ამოღებულ იქნა განსახილველი პროექტიდან. რაც შეეხება სხვა ჩამოთვლილ პარამეტრებს (ჯიტერი, დაყოვნება, დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი,) მათთან მიმართებაში გამოყოფილი არხების ხშირ დაზიანებასთან დაკავშირებით დასახელებული პრობლემები არ არის რელევანტური. პროექტში გათვალიწინებული პარამეტრები (ჯიტერი, დაყოვნება, დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი,) ასახავს მომსახურების ხარისხობრივ მახასიათებლებს მომსახურების ფუნქციონირების პირობებში და არ ეხება მომსახურების შეწყვეტის შემთხვევებს, ხოლო წარმოდგენილ კომენტარში დასახელებული მიზეზები ეხება მომსახურების შეწყვეტას და არ არის დაკავშირებული დაშვების მსურველი ავტორიზებული პირისთვის მომსახურების მიწოდების აღნიშნულ ტექნიკურ პარამეტრებთან. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკაში გამოყოფილ არხებთან დაშვების მომსახურებების მოწვევის ოფერტა, როგორც წესი, მოიცავს დაყოვნების, ჯიტერის,

		დაკარგული პაკეტების კოეფიციენტისა და სხვა ხარისხობრივი პარამეტრების შესახებ ინფორმაციას.
	3. მომსახურების პირველადი ინსტალაციისა და აღდგენის ვადები ინსტალაციის ვადების სტანდარტიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან თითოეული პროექტი ინდივიდუალურ ტექნიკურ, გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ პირობებზეა დამოკიდებული და მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. პრაქტიკაში ინსტალაციის პროცესსა და ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს არაერთი ფაქტორი, მათ შორის, რა ტიპის ინფრასტრუქტურის ინსტალაცია ან/და აღდგენა ხორციელდება, - საჰაერო თუ მიწისქვეშა; საჭიროა თუ არა დამატებითი ბოძების მონტაჟი; რა ტიპისა და სტრუქტურის ნიადაგში უნდა განხორციელდეს სამუშაოები; საჭიროა თუ არა გზის, ხიდის, მდინარის, რკინიგზის, კერძო საკუთრების ან სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის კვეთა; არსებობს თუ არა შესაბამის ტერიტორიაზე სხვა საკომუნიკაციო ან საინჟინრო ქსელები; რა ტექნიკური პირობებით და რა სიღრმეზე უნდა განთავსდეს კაბელი; რა მოცულობის სამშენებლო ან გათხრითი სამუშაოებია საჭირო; ასევე, რა სანებართვო პროცედურებია გასავლელი კონკრეტულ ლოკაციაზე. გარდა ამისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სამუშაოების დაწყება ან დასრულება დამოკიდებულია მესამე პირებზე, მათ შორის მუნიციპალიტეტებზე, გზების დეპარტამენტზე, ინფრასტრუქტურის მფლობელ სხვა კომპანიებზე, ელექტროენერგიის ან გაზგამანაწილებელ ორგანიზაციებზე, ასევე კონკრეტულ ტერიტორიაზე დაშვების ან შესაბამისი ნებართვების მიღებაზე. აღნიშნული გარემოებები სრულად არ ექვემდებარება მომსახურების მიმწოდებლის კონტროლს და	ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი ითვალისწინებდა მოწვევის ოფერტებში მომსახურების მიწოდების სტანდარტული საბაზისო პირობების დაკონკრეტებას, მათ შორის იყო: მომსახურების პირველადი ჩართვის/ინსტალაციისა და დაზიანების აღდგენის (დაზიანების სირთულისა და გავლენის მიხედვით) ვადები. ამასთან, ჩართვა/ინსტალაცია მოიაზრებდა აქცეპტანტის ჩართვას არსებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში. თუმცა გარკვეულწილად გასათვალისწინებელია შპს „პისი მაქსის“ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ თითოეული პროექტი ინდივიდუალურ შეფასებას საჭიროებს, რაც შესაძლოა მიუთითებდეს აღნიშნული პარამეტრების მოწვევის ოფერტაში გაწერის მოთხოვნის მეტად დაკონკრეტების აუცილებლობაზე. შესაბამისად, განსახილველი პროექტიდან აღნიშნული ვადების დამატებით დეტალიზაციასთან დაკავშირებული საკითხი ამოღებულ იქნა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ვადები უკვე განსაზღვრულია 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში უკვე არსებობს შესაბამისი მითითება ამ რეგლამენტზე. ასევე აღვნიშნავთ, რომ იგეგმება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის გადახედვა დაზიანების აღმოფხვრის ვადების ნაწილში და ასეთი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, რაც გათვალისწინებული იქნება გამოყოფილი არხებით მომსახურების მიწოდებაზე არსებულ

	შეუძლებელს ხდის წინასწარ ფიქსირებული და ყველა შემთხვევაზე გავრცელებადი ინსტალაციის ვადების განსაზღვრას. ანალოგიურად, დაზიანების აღდგენის ვადებისა და ღირებულების წინასწარ განსაზღვრაც პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია და დამოკიდებულია დაზიანების მასშტაბზე, ინფრასტრუქტურის ტიპზე, დაზიანების მიზეზზე, დაზიანებული მონაკვეთის სიგრძეზე, ტერიტორიის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ამინდის პირობებზე, საჭირო ტექნიკასა და მასალებზე, სპეციალიზებული სამუშაო ძალის მობილიზების შესაძლებლობაზე, ასევე კონკრეტულ მომენტში მოქმედ საბაზრო ფასებსა და მასალების ხელმისაწვდომობაზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ვადებისა და პირობების უნივერსალურად და წინასწარ ოფერტაში ფიქსირება ვერ ასახავს ბაზარზე არსებულ პრაქტიკულ რეალობას და შექმნის ისეთ ვალდებულებებს, რომელთა შესრულება რიგ შემთხვევებში ობიექტურად შეუძლებელი იქნება თავად მომსახურების მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო.	რეგულაციებშიც, ხოლო დამატებითი დეტალიზაციის საჭიროება და ფარგლები შეფასდება ზემოთ უკვე აღნიშნული კომპლექსური კვლევის ფარგლებში გამოყოფილი არხებით მომსახურების ბაზრის შესწავლისას.
	4. ხარვეზის დაფიქსირების, რეგისტრაციის, კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები აღნიშნული საკითხი მეტწილად მისაღებია და პრაქტიკაში უკვე გამოიყენება კომპანიების მიერ.	-
	5. 24/7 ტექნიკური მხარდაჭერისა და ესკალაციის პროცედურები აღნიშნული პირობებიც გათვალისწინებულია მოქმედ საოპერაციო პრაქტიკაში და მისაღებია.	-

	6. დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ წინასწარი შეტყობინების პირობები აღნიშნული საკითხიც პრაქტიკაში უკვე რეგულირდება მხარეთა შორის ხელშეკრულებებით.	-
	7. სარეზერვო (backup) კავშირების უზრუნველყოფის პირობები სარეზერვო კავშირი წარმოადგენს დამატებით და ინდივიდუალურ მომსახურებას, რომელიც დამოკიდებულია კლიენტის ჩართვის წერტილზე, ქსელის ტოპოლოგიაზე, კაბელის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, კლიენტის ტექნიკურ მოთხოვნებზე, და უმთავრესად, ალტერნატიული ინფრასტრუქტურის არსებობაზე. სარეზერვო კავშირის რეალური დანიშნულება სწორედ ძირითადი ქსელისგან დამოუკიდებელი ინფრასტრუქტურის არსებობას ეფუძნება. ხშირ შემთხვევაში კი ტექნიკურად შეუძლებელია რეალურად დამოუკიდებელი სარეზერვო მარშრუტის ორგანიზება, რადგან კონკრეტულ ტერიტორიაზე ფიზიკურად არ არსებობს მეორე დამოუკიდებელი ინფრასტრუქტურა, ალტერნატიული საკაბელო ტრასა, დამატებითი საკანალიზაციო სისტემა ან სხვა შესაბამისი ტექნიკური რესურსი. ამასთან, სარეზერვო კავშირის ორგანიზება მნიშვნელოვან დამატებით ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს საჭიროებს, მათ შორის, დამატებითი კაბელის, ტრასის, პორტების, მოწყობილობების, ენერგომომარაგების, ტექნიკური პერსონალისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებას. შესაბამისად, ასეთი მომსახურების ღირებულება და განხორციელების პირობები თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ფასდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარეზერვო მომსახურების პირობების, ვადების, ტექნიკური პარამეტრებისა და პასუხისმგებლობის	გადაწყვეტილების პროექტის ეს ნაწილი მიზნად ისახავდა გამოყოფილი არხებით მომსახურების ბაზარზე განსაზღვრული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების მიერ გამოქვეყნებულ მოწვევის ოფერტებში წარმოდგენილი ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და დაშვების მსურველთათვის იმ ინფორმაციის მიწოდებას, ითვალისწინებდა თუ არა კონკრეტული მომსახურება სარეზერვო კავშირის შესაძლებლობას და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რა პირობებით ხდებოდა მისი უზრუნველყოფა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარეზერვო კავშირის მიწოდების შესაძლებლობა და პირობები თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შეფასებას საჭიროებს, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია და მოთხოვნა აღნიშნული პირობის მოწვევის ოფერტაში გაწერაზე მეტ კონკრეტიკას საჭიროებს. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე გადაწყვეტილების პროექტიდან ამოღებულ იქნა სარეზერვო კავშირის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხი, თუმცა დამატებითი დეტალიზაციის პირობები და ფარგლები შეფასდება სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის ფარგლებში გამოყოფილი არხებით მომსახურების ბაზრის შესწავლისას, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული საბითუმო ბაზრის რეგულირების ჩარჩოს განსაზღვრისას.

	სტანდარტულად და წინასწარ ოფერტაში განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან აღნიშნული მომსახურება თავისი ბუნებით საჭიროებს თითოეულ შემთხვევაზე ინდივიდუალურ ტექნიკურ და კომერციულ შეფასებას.	
	8. მომსახურების საგარანტიო პირობები (SLGs) და კომპენსაციის პირობები ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კომპანიებს პრაქტიკულად არ აქვთ შესაძლებლობა, წინასწარ გასცენ ისეთი გარანტიები ან განსაზღვრონ ისეთი კომპენსაციის მექანიზმები, რომლებიც სრულად იქნება მათ კონტროლს დაქვემდებარებული. დღევანდელი პრაქტიკის პირობებში ინფრასტრუქტურის დაზიანებისას კომპანიები თავად ატარებენ სრულ ფინანსურ ტვირთს და არ არსებობს ზიანის ანაზღაურების ეფექტიანი მექანიზმები. ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციებიდან კომპენსაციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. შედეგად, კომპანიებს უწევთ მუდმივად მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მიმართვა დაზიანებების, გადატანებისა და რეაბილიტაციის სამუშაოებზე, რაც ქმნის უზარმაზარ საოპერაციო ტვირთს. მიგვაჩნია, რომ კომისიამ, როგორც მარეგულირებელმა ორგანომ, პირველ ეტაპზე უნდა შეისწავლოს აღნიშნული სისტემური პრობლემები და შესაბამის სახელმწიფო და ინფრასტრუქტურულ უწყებებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ეფექტიანი კოორდინაციისა და ინფრასტრუქტურის დაცვის მექანიზმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კომისიამ, როგორც მარეგულირებელმა ორგანომ, პირველ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და ინფრასტრუქტურულ	გადაწყვეტილების პროექტიდან ამოღებულ იქნა მოწვევის ოფერტაში პირველადი ჩართვის/ინსტალაციისა და დაზიანების აღდგენის (დაზიანების სირთულისა და გავლენის მიხედვით) ვადების მითითების მოთხოვნა(იხ. პასუხი კომენტარზე N3). დაზიანების აღმოფხვრის ვადებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული მომსახურების საგარანტიო პირობების (SLGs) და კომპენსაციის პირობების გაწერის საკითხიც, შესაბამისად, ამ ეტაპზე გადაწყვეტილების პროექტიდან ამოღებულ იქნა მომსახურების საგარანტიო პირობებისა (SLGs) და კომპენსაციის მექანიზმების ოფერტაში სავალდებულოდ განსაზღვრის მოთხოვნაც.

	ორგანიზაციებთან კოორდინირებული სამუშაო ფორმატის შექმნა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კომისიის ჩართულობით შეიქმნას მუდმივმოქმედი საკოორდინაციო/მედიაციის ჯგუფი ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, გზების დეპარტამენტთან, მუნიციპალურ ორგანოებთან და სხვა შესაბამის უწყებებთან, რათა შესაძლებელი გახდეს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაცვის, სამუშაოების წინასწარი შეთანხმებისა და დაზიანებების პრევენციის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება. ასევე მზად ვართ, კომისიას გავუზიაროთ ჩვენი კომპანიის სტატისტიკა: • ინფრასტრუქტურის დაზიანებების; • რეაბილიტაციის შემთხვევების; • ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის იძულებითი გადატანების; • და აღნიშნულთან დაკავშირებული ფინანსური დანაკარგების შესახებ. მიგვაჩნია, რომ მსგავსი სისტემური პრობლემების არსებობის პირობებში მხოლოდ დამატებითი ვალდებულებების დაკისრება, პრაქტიკული გარემოს შეფასების გარეშე, ვერ უზრუნველყოფს რეგულაციის მიზნების მიღწევას და რეალურად ქმნის არარეალისტურ და შეუსრულებელ ვალდებულებებს ავტორიზებული პირებისთვის. ამასთან, ვთლით, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების მოგვარებისა და კომპანიებისთვის არსებული არაპროგნოზირებადი საოპერაციო ხარჯების შემცირების შემთხვევაში, ბაზარზე მომსახურების პირობები და ფასები ბუნებრივად გახდება უფრო სტაბილური, პროგნოზირებადი და კონკურენტული. მიგვაჩნია, რომ კომისიამ, როგორც სექტორის განვითარების პასუხისმგებელმა მარეგულირებელმა	

	ორგანომ, ახალი ვალდებულებების დაწესებამდე უშუალოდ უნდა შეისწავლოს არსებული პრაქტიკა, ბაზარზე არსებული რეალური გამოწვევები და ინფრასტრუქტურის მფლობელი კომპანიების ყოველდღიური საოპერაციო გარემო, რათა განსაჯოს, რამდენად რეალურია შესაბამისი ვალდებულებების შესრულება. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეუძლებლად მიგვაჩნია ხსენებული პროექტით გათვალისწინებული ახალი მოთხოვნების ოფერტაში ფიქსირება არსებული გარემოს პირობებში.	
შპს „კავკასუს ონლაინი“ შპს „კავკასუს ონლაინის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის შ-26-6/5281; თარიღი: 22.05.2026)	**1. ტექნიკური მომსახურების ზოგადი ფარგლები** პროექტით განსაზღვრული პირობები არ მოიცავს ტექნიკური მომსახურების შინაარსობრივ ფარგლებს და არ განსაზღვრავს, კონკრეტულად რა შედის რეგულირებული ტარიფით გათვალისწინებულ ტექნიკურ მომსახურებაში. კერძოდ, მოცემული პროექტი არ ეხება შემდეგ საკითხებს: - რა სახის მომსახურებების გაწევა ევალება მიმწოდებელს; - რა არის ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის საბაზისო პირობები; - მოიცავს თუ არა მომსახურება მონიტორინგს, დიაგნოსტიკას, ავარიულ აღდგენას, პროფილაქტიკურ სამუშაოებს, ადგილზე გასვლას, ტესტირებას, კონფიგურაციას და სხვა ოპერაციულ საქმიანობას; - რომელი მომსახურება ითვლება საბაზისო მომსახურებად და რომელი მიიჩნევა დამატებით/გაუმჯობესებულ მომსახურებად. აღნიშნულის გარეშე პრაქტიკაში კვლავ რჩება გაურკვევლობა, თუ რას ფარავს რეგულირებული ტარიფი და რა შემთხვევაში აქვს მომსახურების	კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების მიზანს წარმოადგენს უკვე არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს დაკონკრეტება, კერძოდ, ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი მაგისტრალურ/ძირითად (“Trunk”) ქსელთან დაშვებისა და „Backhaul” გადაცემის ქსელთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ გამოქვეყნებულ გამოყოფილ არხებზე დაშვების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტაში) ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად დაზუსტდეს ამავე გადაწყვეტილებით რეგულირებული ტარიფებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ტექნიკური მომსახურების პირობები. ამასთან, კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებით დადგენილი ტარიფები დათვლილი იყო BU-LRIC მოდელის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იყო როგორც კაპიტალური, ისე საოპერაციო ხარჯები, მათ შორის ქსელის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია იმ ხარისხობრივი პარამეტრებისა და ტექნიკური მომსახურების პირობების დაკონკრეტება, რასაც უნდა ითვალისწინებდეს

	მიმწოდებელს დამატებითი საფასურის მოთხოვნის უფლება. მოწვევის ოფერტა, სულ მცირე, უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ძირითად და აუცილებელ კომპონენტებს, რომელთა გარეშე ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის/ძარღვის იჯარით სარგებლობას პრაქტიკული დანიშნულება ეკარგება. მიზანშეწონილია, რომ რეგულირებული საბაზისო მომსახურების ფარგლებში განისაზღვროს ის ძირითადი პირობები და მომსახურებები, რომლებიც პრაქტიკაში განუყოფლად არის დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან და გამოყენებადობასთან.	განსაზღვრული რეგულაციის ფარგლებში მისაწოდებელი საბითუმო მომსახურება. კომპანიის მიერ გაკეთებული მითითება, რომ ოფერტაში იყოს განსაზღვრული, თუ რა სახის მომსახურების გაწევა ევალება მიმწოდებელს, სწორედ ამას ემსახურება იმ ხარისხობრივი პარამეტრები და ტექნიკური მომსახურების პირობების დაზუსტება, რაც გათვალისწინებული იყო განსახილველ პროექტში. ამასთან, კომპანია უთითებს, რომ პროექტი არ ეხება შემდეგ საკითხებს: რა არის ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის საბაზისო პირობები; მოიცავს თუ არა მომსახურება მონიტორინგს, დიაგნოსტიკას, ავარიულ აღდგენას, პროფილაქტიკურ სამუშაოებს, ადგილზე გასვლას, ტესტირებას, კონფიგურაციას და სხვა ოპერაციულ საქმიანობას - აღნიშნული საკითხები წარმოადგენს იმ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მიღწევას. მიგვაჩნია, რომ მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიამ უნდა იმოქმედოს იმგვარად (უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის საბაზისო პირობები; გაუწიოს მომსახურებას მონიტორინგი, დიაგნოსტიკა, ავარიულ აღდგენაზე ირეაგიროს სათანადოდ, ჩაატაროს პროფილაქტიკური სამუშაოები, დროულად გავიდეს ადგილზე, ჩაატაროს ტესტირება, კონფიგურაცია და სხვა ოპერაციული საქმიანობა), რომ დაშვების მიმღებმა კომპანიამ ოფერტით განსაზღვრული ხარისხობრივი და ტექნიკური პარამეტრებით განსაზღვრული მაჩვენებლებით მიიღოს მომსახურება.
	2. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის ფიზიკური და ტექნიკური მახასიათებლები პროექტით განსაზღვრული ხარისხობრივი პარამეტრები (ჯიტერი, დაყოვნება, დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი და სხვა) აღწერს მონაცემთა გადაცემის ხარისხს, თუმცა არ მოიცავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის ფიზიკურ და ტექნიკურ მახასიათებლებს.	2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, გამოყოფილ არხებთან დაშვების მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება ითვალისწინებს მომსახურების გაწევას ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით, თუმცა ამის მიღმა, განისაზღვროს კაბელის სპეციფიკაციები - კაბელის ტიპი და სტანდარტი, სიგნალის ტექნიკური პარამეტრები და ძარღვის ხარისხობრივი მახასიათებლები, არც ევროპულ პრაქტიკაში გვხვდება და არც

	პრაქტიკაში არსებული ხელშეკრულებები, მათ შორის კომისიისთვის წარდგენილი ხელშეკრულებები და ბაზარზე მოქმედი სტანდარტული შეთანხმებები, ხშირად შეიცავს: - გამოყენებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ტიპსა და სტანდარტს (მაგ. ITU-T G.652); - ოპტიკური სიგნალის ტექნიკურ პარამეტრებს; - ძარღვის ხარისხობრივ მახასიათებლებს; - ოპტიკური ხაზის ტესტირების კრიტერიუმებს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პარამეტრები პირდაპირ უკავშირდება მომსახურების ტექნიკურ ხარისხსა და გამოყენებადობას და მათი გაუთვალისწინებლობა კვლავ ტოვებს სივრცეს არაერთგვაროვანი პრაქტიკისათვის და დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმების საჭიროებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რეგულირებული მომსახურების ფარგლებში განისაზღვროს ისეთი ძირითადი ფიზიკური და ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც პრაქტიკაში აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის ეფექტიანი და ფუნქციური გამოყენებისთვის და არ საჭიროებს მხარეთა დამატებით შეთანხმებას.	ამის საჭიროებაა იმ მოცემულობაში, როცა წინამდებარე საჯარო კონსულტაციების ფარგლებში განსახილველი პროექტით განსაზღვრულ იქნა, მომსახურების მიმწოდებელმა მოწვევის ოფერტაში მიუთითოს ისეთი პარამეტრები, როგორიცაა მომსახურების შესაბამისი მახასიათებლები: ჯიტერი, დაყოვნება, დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული პარამეტრების განსაზღვრული მნიშვნელობები (რომლის გონივრულობა, ასევე, იქნება შეფასებული დაშვების მომსახურების მიმწოდებლების მიერ მოწვევის ოფერტების წარმოდგენის შემდგომ), თუმცა, ის, თუ რა ტიპის კაბელით უზრუნველყოფს ამას, მომსახურების მიმწოდებლის პრეროგატივაა.
	3. ქსელზე დაშვების და უსაფრთხოების პირობები პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას შემთხვევები, როდესაც მომსახურება, ან კონკრეტული ტექნიკური პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს დადგენილ პირობებს ან შეთანხმებულ მოთხოვნებს, მათ შორის ხარვეზის დროულად აღმოფხვრის ნაწილში. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციის ფარგლებში უფრო ცხადად განისაზღვროს ისეთი საკითხის მოწესრიგების ვალდებულება, როგორიც შეიძლება იყოს:	აღნიშნული საკითხები, როგორიცაა ქსელზე მომსახურების მიმღები კომპანიის წარმომადგენელთა დაშვების უფლებისა და პირობების, უსაფრთხოების წესების დაცვის, ტექნიკური სტანდარტების, ტექნიკური ჩარევის და აღნიშნულ საკითხზე მომსახურების მიმღების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხები, უმჯობესია გაწერილ იქნას მომსახურების მიმწოდებელსა და დაშვების მომსახურების მიმღებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და არა მოწვევის ოფერტაში.

	- ვის და რა პირობებით აქვს ქსელზე/ინფრასტრუქტურაზე დაშვების უფლება; - რა უსაფრთხოების წესები და ტექნიკური სტანდარტები უნდა იქნეს დაცული; - რა პირობებით შეიძლება განხორციელდეს ტექნიკური ჩარევა; - რა უფლებები აქვს მომსახურების მიმღებს იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი აჭიანურებს ტექნიკური მომსახურების განხორციელებას. აღნიშნული საკითხები პირდაპირ უკავშირდება მომსახურების უწყვეტობასა და ოპერატორების შესაძლებლობას დროულად უზრუნველყონ საკუთარი კონტრაქტორებისა თუ აბონენტების მომსახურება.	საერთაშორისო პრაქტიკაშიც ასეთი ტექნიკური საკითხები ხშირად წესრიგდება ინდივიდუალური შეთანხმებებით. რაც შეეხება მომსახურების მიმღების უფლებებს იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი აჭიანურებს ტექნიკური მომსახურების განხორციელებას, კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილების მიხედვით დაზიანების აღდგენის ვადები არ უნდა სცდებოდეს კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" დადგენილ ვადებს, შესაბამისად, ტექნიკური მომსახურების გაჭიანურება გამოიწვევს რეგლამენტისა და შესაბამისად სახელშეკრულებო პირობის დარღვევას.
	4. ტექნიკური მხარდაჭერისა და ოპერაციული რეაგირების დეტალური ვადები პროექტით გათვალისწინებულია ინსტალაციისა და აღდგენის ვადები, თუმცა არ არის განსაზღვრული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციული ვადები, მათ შორის: - ხარვეზზე რეაგირების (response time) ვადა; - ადგილზე მისვლის ვადა; - დიაგნოსტირების ვადა; - ტესტირების ვადა; - ესკალაციის ეტაპებს შორის რეაგირების ვადები; - დროებითი/სარეზერვო მომსახურების გააქტიურების ვადები. აღნიშნული პარამეტრები წარმოადგენს SLA-ის პრაქტიკულად აუცილებელ კომპონენტს და მათი არარსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს რეგულაციის პრაქტიკულ ეფექტიანობას. რამდენადაც მომსახურების ვადები პირდაპირ კავშირშია მხარის	განვმარტავთ, რომ კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში შესატანი ცვლილებით უკვე გათვალისწინებულია მოწვევის ოფერტაში გაწერილ იქნას: • ხარვეზის დაფიქსირების, რეგისტრაციის, კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები (მათ შორის კრიტიკული, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი კატეგორიებისთვის); • 24/7 ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობები და ხარვეზების ესკალაციისთვის საჭირო პროცედურები; ხარვეზების პრიორიტეტიზაციის წესი; მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიამ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ დაიცვას რეგლამენტში და მოწვევის ოფერტაში განსაზღვრული პირობები, რაც ნიშნავს, რომ თავად უნდა განსაზღვროს და უზრუნველყოს იმ სამუშაოების ეფექტურად შესრულება, რაზეც მიუთითებს შპს „კავკასუს ონლაინი“ (რეაგირების დრო (response time), ადგილზე მისვლის ვადები,

	პასუხისმგებლობასთან, რეაგირების ხარისხთან ან მომსახურების უწყვეტობასთან, მიზანშეწონილია რეგულაცია მოიცავდეს იმ ოპერაციულ ვადებს, რომელთა განსაზღვრაც აუცილებელია ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ვალდებულების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.	დიაგნოსტირების, ტესტირების, ესკალაციისა და დროებითი მომსახურების გააქტიურების ვადები.)
	5. მხარეთა პასუხისმგებლობების გამიჯვნა ტექნიკური მომსახურების პირობების გარდა, მიგვაჩნია, რომ სასურველია რეგულაცია აწესრიგებდეს პასუხისმგებლობის საკითხებსაც. მნიშვნელოვანია მხარემ იცოდეს, სად გადის პასუხისმგებლობის ზღვარი და რა შემთხვევები ითვლება მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობად და რა მიიჩნევა მომსახურების მიმღების ან მესამე პირის რისკად. შესაბამისად, ოფერტაში მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პასუხისმგებლობა ინფრასტრუქტურის დაზიანების სხვადასხვა შემთხვევებზე. აღნიშნული საკითხების დაურეგულირებლობა პრაქტიკაში ხშირად იწვევს დავებს და ქმნის არაერთგვაროვანი სახელშეკრულებო პრაქტიკის ჩამოყალიბების რისკს.	გამოყოფილი არხებით საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდების შემთხვევაში პასუხისმგებლობის ფარგლების, რისკების განაწილებისა და სხვადასხვა სახის ზიანთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დეტალური პირობები წარმოადგენს მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეთანხმების საგანს, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობის მოწვევის ოფერტაში გაწერის აუცილებლობა არ გამოიკვეთა.
	6. ზიანის ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის პირობები პროექტი ითვალისწინებს კომპენსაციის ზოგად პირობებს, თუმცა არ განსაზღვრავს: - ტექნიკური მომსახურების პირობების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს; - მომსახურების/აღდგენის/შეტყობინების ვადების დარღვევის შედეგებს; - ზიანის ანაზღაურების მექანიზმებს; - მომსახურების მიმღების უფლებებს მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.	აღვნიშნავთ, რომ გამოყოფილი არხებით საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდების შემთხვევაში მომსახურების შეუსრულებლობასთან, არაჯეროვან შესრულებასთან, პასუხისმგებლობის ფარგლებთან, ზიანის ანაზღაურების მექანიზმებთან და შესაბამისი კომპენსაციის პირობებთან დაკავშირებული საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული მომსახურების ტექნიკურ, ოპერაციულ და კომერციულ პირობებთან. ამ მოცემულობაში მოწვევის ოფერტაში ზიანის ანაზღაურების პირობების გაწერის აუცილებლობა არ გამოიკვეთა. ზიანის ანაზღაურების პირობები მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეთანხმების საგანია, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზიანის ანაზღაურების

	მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მინიმალურ დონეზე განისაზღვროს მომსახურების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპენსაციის პრინციპები, SLA-ის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლები და ზიანის ანაზღაურების ზოგადი ჩარჩო. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრაქტიკაში კვლავ დარჩება შესაძლებლობა, რომ მომსახურების მიმწოდებელმა დაარღვიოს ტექნიკური მომსახურების პირობები ან დადგენილი ვადები ყოველგვარი რეალური პასუხისმგებლობის გარეშე, ან სხვადასხვა ოპერატორის მიმართ გამოყენებულ იქნეს განსხვავებული პასუხისმგებლობის რეჟიმი. გარდა ამისა, ამ საკითხის ღიად დატოვების შემთხვევაში, შესაძლოა მომსახურების მიმღებს არ ჰქონდეს ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმი საკუთარი ინტერესების დასაცავად, რამდენადაც ამ შემთხვევაში SLA-ის პირობები იქნება მხოლოდ დეკლარაციული და არა პრაქტიკულად სავალდებულო ხასიათს.	თაობაზე დავა წარმოადგენს სამოქალაქო დავას, რომელიც განიხილება სასამართლოში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შემოსული კომენტარებიდან გამომდინარე, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების გამო გამოყოფილი არხების ხშირ დაზიანებებს შეეხება, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხები სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში განისაზღვროს, მხარეთა შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
	7. ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დამატებით მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია რეგულაციაში მკაფიოდ და იმპერატიულად განისაზღვროს მომსახურების ხელმისაწვდომობის (uptime) მინიმალური ზღვრული მაჩვენებელი. მხოლოდ მომსახურების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ოფერტაში მითითების ვალდებულება არ არის საკმარისი, თუ რეგულაცია არ დაადგენს ხელმისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტს, რომლის ქვემოთ მომსახურების მიწოდება დაუშვებელი უნდა იყოს. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია, რეგულაციით პირდაპირ განისაზღვროს, რომ: - რეგულირებული ტარიფით მიწოდებული მომსახურების ქსელის	მარეგულირებელი პრაქტიკა, როგორც წესი, არ ეფუძნება მომსახურების ხელმისაწვდომობის კონკრეტული რიცხობრივი ზღვრული მაჩვენებლების წინასწარ დადგენას მარეგულირებლის მიერ და ის განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოწვევის ოფერტაში. ავტორიზებული პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და ბაზარზე არსებული გარემოებების შეფასების შედეგად, გამოიკვეთა, რომ მომსახურების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის განსაზღვრა და შეფასება მიმდინარე ეტაპზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან პრაქტიკულ სირთულეებთან, მათ შორის ისეთ გარემოებებთან, რომლებიც მომსახურების მიმწოდებლების კონტროლის ფარგლებს მიღმაა. შესაბამისად, მოცემული საკითხის მოწესრიგება საჭიროებს დამატებით შესწავლას.

	ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი არ უნდა იყოს 99.2%-ზე ნაკლები; - მომსახურების მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რეგულირებული მომსახურება მიაწოდოს უფრო დაბალი ხელმისაწვდომობის პირობებით. ამასთან, აღნიშნული მინიმალური ხარისხობრივი სტანდარტის განსაზღვრა არ უნდა ზღუდავდეს მხარეთა უფლებას, რეგულირებული ტარიფის ფარგლებში, ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ მომსახურების უფრო მაღალი ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, რომელიც არ უნდა გახდეს დამატებითი საფასურის დაკისრების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამატებითი საფასური უკავშირდება ობიექტურად განსხვავებულ, დამატებით ტექნიკურ ან ინფრასტრუქტურულ რესურსებს, რომლებიც სცდება რეგულირებული საბაზისო მომსახურების ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ uptime მაჩვენებლის დეკლარირების ვალდებულება პრაქტიკაში ვერ უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მინიმალურ გარანტირებულ სტანდარტს და კვლავ დატოვებს შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ოპერატორს განსხვავებული და არასაკმარისი ხარისხობრივი პირობები შესთავაზონ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული მოთხოვნის მკაფიოდ განსაზღვრა იმ პირობებში, როდესაც რეგულირებული ტარიფები უკვე ეფუძნება BU-LRIC მოდელს და, თავად პროექტის განმარტებითი ნაწილის მიხედვით, ითვალისწინებს ქსელის მოვლა-შენახვასთან და ოპერირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. შესაბამისად, საბაზისო მომსახურების ფარგლებში სასურველია არსებობდეს გარანტირებული მინიმალური ხარისხობრივი სტანდარტი, უპირველეს ყოვლისა, ქსელის	აღნიშნულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების პროექტიდან ამოღებულ იქნა მომსახურების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის განსაზღვრასა და მოწვევის ოფერტაში გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. გამოყოფილ არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის კვლევა იგეგმება სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის ფარგლებში, შესაბამისად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრის შემთხვევაში მოხდება ხარისხობრივი პარამეტრების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა.

	ხელმისაწვდომობის ნაწილში. ამასთან, სასურველია, რომ აღნიშნული ხელმისაწვდომობის ზღვრული სტანდარტი განისაზღვროს იმგვარად, რომ უზრუნველყოფდეს მომსახურების ნორმალურ და შეუფერხებელ ფუნქციონირებას ოპერატორისთვის, და არ იყოს იმდენად დაბალი, რომ პრაქტიკაში ვერ იქნას უზრუნველყოფილი მომსახურების ნორმალური გამოყენებადობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ბაზრის გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციული გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით, თუმცა მიზნის სრულყოფილად მისაღწევად ვთვლით, რომ საჭიროა რეგულაციის ფარგლებში დამატებით და უფრო დეტალურად განისაზღვროს ტექნიკური მომსახურების ზემოაღნიშნული ოპერაციული, ტექნიკური და პასუხისმგებლობითი ასპექტები. სხვა შემთხვევაში, კვლავ დარჩება სივრცე განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკისათვის, მათ შორის იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს რეგულირებული ტარიფით გათვალისწინებულ საბაზისო მომსახურებას და რა შეიძლება იქნეს მიჩნეული დამატებით/გაუმჯობესებულ მომსახურებად.	
შპს „მაგთიკომი“ შპს „მაგთიკომის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის შ-26-6/5267; თარიღი: 21.05.2026)	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის (შემდგომში - კომისია) 2025 წლის 25 დეკემბრის #გ-25-23/658 გადაწყვეტილების (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში „გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“) საფუძველზე დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში	კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს მოქმედი რეგულაციით გათვალისწინებული მომსახურების პირობების დაზუსტება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კერძოდ, ავტორიზებული პირების მიერ მოწვევის ოფერტებში მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრებისა და ტექნიკური მომსახურების პირობების სრულყოფილად ასახვა. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა

	წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში - მაგთიკომი) პოზიციას, კერძოდ: წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღდგენის ვადა არ უნდა სცდებოდეს კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ დადგენილ ვადებს (შემდგომში - რეგლამენტი). როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნული დოკუმენტი მიღებულია 2006 წელს და ტექნოლოგიების/მომსახურების განვითარებასთან ერთად მისი რედაქცია აღარ პასუხობდა დარგში არსებულ გამოწვევებს. ამ გარემოების გათვალისწინებით, ავტორიზებული პირების აქტიური ჩართულობით, 2021 წელს განხორციელდა რეგლამენტის მაშტაბური ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვარიდან. შეგახსენებთ, რომ ცვლილებები არ შეხებია რეგლამენტის მე-8 („დაზიანების აღმოფხვრა“) და 8[1] („დაზიანებათა აღმოფხვრის ვადები“) მუხლებს, რომელ მუხლებზეც მიუთითებს წარმოდგენილი პროექტი. ამასთან, აღსანიშნავია რომ 2021 წელს კომისიისაგან მივიღეთ დაპირება, რომ გაგრძელდებოდა მუშაობა რეგლამენტის აღნიშნული მუხლების დახვეწასა და ობიექტურ/რეალურ პირობებზე მორგებაზე, თუმცა დღემდე რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა. ამრიგად, არსებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მითითება ხდება იმ რეგლამენტზე, რომელზეც შეთანხმებული ვართ რომ შესაცვლელია, ვინაიდან ის მოძველებულია და არ პასუხობს დღევანდელ რეალობას. შესაბამისად, უფრო ლოგიკური და თანმიმდევრული იქნებოდა ჯერ რეგლამენტის ცვლილება და შემდგომ ეს წარმოება. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია,	უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში დაზიანების აღმოფხვრის ვადებთან და ტექნიკური მომსახურების საოპერაციო პარამეტრებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას. როგორც შპს „პისი მაქსის“ N3 კომენტარის პასუხად აღინიშნა, იგეგმება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის გადახედვა დაზიანების აღმოფხვრის ვადების ნაწილში და ასეთი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ რეგლამენტი უკვე განსაზღვრავს დაზიანების აღმოფხვრის ვადებს და მოწვევის ოფერტაც შეიცავს შესაბამის მითითებას აღნიშნულ რეგლამენტზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მომზადებული პროექტიდან მოწვევის ოფერტაში დაზიანების სირთულისა და გავლენის მიხედვით ვადების დეტალურად განსაზღვრის მოთხოვნის ამოღება.

	უახლოეს პერიოდში კომისიისა და ოპერატორების მონაწილეობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს რეგლამენტის ზემოაღნიშნულ მუხლებთან დაკავშირებულ შესაბამის ცვლილებებს.	